

ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ანგარიშს 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე, 2018 წლის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე.

სამოქმედო გეგმა შედგენილიყო SWOT ანალიზის მეთოდოლოგიის საფუძველზე და დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, გარემოდან მომდინარე შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზების საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული ანალიზი ასეთია:

S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
<ol style="list-style-type: none"> 1. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის ადამიანურ რესურსს გააჩნია განვითარების მზაობა და დაწყებულია დემინგის ციკლის დანერგვა; 2. 2017 წლიდან კოლეჯში ინერგება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით (დუალური მიდგომით) კულინარიის ხელოვნების პროგრამა; 3. კოლეჯს ჰყავს ძლიერი პარტნიორები ტურიზმის მიმართულებით; 4. ტურიზმის და სამშენებლო მიმართულებით მაღალია დასაქმების /თვითდასაქმების მაჩვენებელი ; 5. კოლეჯში შეიცვალა მიდგომები საპროფორიენტაციო მუშაობასთან დაკავშირებით; 6. 2017 წელს პედაგოგთა 70% გაიარა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ორი მოდული; 7. 2017 წელს განახლდა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები; 8. კოლეჯში ინერგება თანამშრომელთა შეფასების სისტემა; 	<ol style="list-style-type: none"> 1.სამი წლის პერიოდში კოლეჯმა დაიმატა მხოლოდ ექვსი მოდულური პროგრამა; 2. კოლეჯი ბოლო წლებია არ მონაწილეობს საგრანტო კონკურსებში; 3.სამშენებლო მიმართულებით კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ ორ პროგრამას და ამ მიმართულებით სუსტია პარტნიორებთან თანამშრომლობა; 4. კოლეჯის პიარ აქტივობები საჭიროებს გადახედვას; 5.კოლეჯში მაღალია პროფესიულ სტუდენტთა განთესვის მაჩვენებელი; 6. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით შემცირდა დასაქმების მაჩვენებელი; 7.ტურიზმის მიმართულებით კურსდამთავრებულთა დასაქმებას აფერხებს სტუდენტთა მიერ უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე; 8. კოლეჯში ახალდამწყებ პედაგოგებთან მეტი მუშაობაა საჭირო სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით; 9.კოლეჯში არ არის ელექტრონული ბიბლიოთეკა; 10. შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით არ არის შემუშავებული ისეთი მექანიზმები, რომლებიც დაადასტურებს სასწავლო პროცესში უსაფრთხო გარემოს არსებობას;

<p>9. სსსმ პირები უზრუნველყოფილია ტრანსპორტირებით სსსმ პირის ვაუჩერული დაფინანსებითა და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის დაფინანსების ფარგლებში;</p> <p>10. სსსმ პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე, პედაგოგთა ჩართულობით შემუშავდა სასწავლო რესურსები;</p> <p>11. კოლეჯს ჰყავს ჟესტური ენის თარჯიმანი და უსინათლო პირთა მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი;</p> <p>12. სასწავლო პრაქტიკის პერიოდში სსსმ პირები ჩართული იყვნენ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის სტაჟირების პროგრამებში;</p> <p>13. 2017 წელს კოლეჯმა ქ. ბათუმის №1 და №2 საჯარო სკოლებთან ერთად განხორციელა სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების კურსი;</p> <p>14. „Fablab“ – ის ლაბორატორიაში შექმნილი ორი პროექტი გახდა „პროფესიული განათლების ჰაკატონ“-ის კონკურსის გამარჯვებული, რომელიც ორგანიზებული იყო ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ორგანიზაცია „EVHACK“ - ის მიერ.</p> <p>15. კოლეჯში ფუნქციონირებს „Cisco“ –ს აკადემია და კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური ინსტრუქტორები;</p> <p>16. პროფესიულ სტუდენტთა წახალისების მიზნით კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო - შემოქმედებითი კონფერენცია, კონკურსი „წლის საუკეთესო პროფ. ჯგუფი“;</p>	<p>11. სასწავლო პროცესის მართვის პროცესში მეტად არის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;</p> <p>12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში შეიმჩნევა პედაგოგთა პასიურობა ;</p> <p>13. საწარმოო პრაქტიკის ობიექტების მოძიების დროს არ ხდება ინკლუზიური გარემოს, პრაქტიკასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დამსაქმებლის მზაობის შესწავლა;</p> <p>14. კოლეჯის პროგრამების სიმწირე ზღუდავს შშმ პირთა პროფესიის არჩევანის შესაძლებლობას;</p> <p>15. სასწავლო პროცესის შესაბამისი მასალა - ნედლეულით მომარაგების პროცესი არ არის მოქნილი;</p> <p>16. დაწესებულების რეესტრი ძირითადად დამოკიდებულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებულ მონაცემებზე და ხშირ შემთხვევაში მოითხოვს დროს ინფორმაციის დასახარისხებლად;</p> <p>17. მოდულური პროგრამების სიახლიდან გამომდინარე, პედაგოგთა უმრავლესობა საჭიროებს ტრენინგებსა და კონსულტაციებს;</p>
--	--

<p style="text-align: center;">0 - შესაძლებლობები</p> <p>1. რეგიონში მიმდინარეობს ბევრი ახალი პროექტი სამშენებლო მიმართულებით;</p> <p>2. ტურიზმის მიმართულებით გაიზარდა დამსაქმებელთა მზაობა</p>	<p style="text-align: center;">T - საფრთხეები</p> <p>1. კოლეჯის შენობის მდგომარეობა;</p> <p>2. სახელმწიფო პოლიტიკის მერყეობა კოლეჯის ახალი შენობის აშენებასთან</p>
---	---

<p>თანამშრომლობისათვის, მათ შორის, დუალური სწავლების მიმართულებით;</p> <ol style="list-style-type: none"> 3. გაჩნდა ზემო აჭარაში სწავლების განხორციელების შესაძლებლობა. ქედის მუნიციპალიტეტი და საერთაშორისო ორგანიზაცია - CENN გამოთქვამს მზაობას ხელი შეუწყოს კოლეჯს ქედაში სასწავლო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით; 4. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებას; 5. სსსმ სტუდენტები სარგებლობენ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტაჟირების პროგრამით; 6. სსსმ სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსება იძლევა საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შექმნა/გამოყენების შესაძლებლობას; 7. გაიზარდა შშმ პირთა მიერ მომართვიანობა პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით; 	<p>დაკავშირებით;</p> <ol style="list-style-type: none"> 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლებიც და კონკურენციის პირობებში შესაძლოა კოლეჯს დააკლდეს კონტიგენტი; 4. 2019 წლის პირველი იანვრიდან აღარ განხორციელდება ე.წ საგნობრივი პროგრამები. პროგრამათა საფეხურები და არსებული სარემონტო ფართები აფერხებს საგნობრივი პროგრამების გადაყვანას მოდულურზე; 5. სამშენებლო სექტორი ნაკლებ ინტერესს იჩენს პროფესიული განათლების მიმართ, დაბალია ნდობის ფაქტორი; 6. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთა/ასისტენტის. დამხმარე პერსონალის დაფინანსება დამოკიდებულება სსსმ სტუდენტთა ვაუჩერულ დაფინანსებაზე; 7. 2018 წლის საშემოდგომო მიღებისათვის შემცირდება პროგრამების რაოდენობა; 8. სტანდარტის მიხედვით შენობა არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის; 9. კურსდამთავრებულთა დასაქმება ძირითადად სეზონურ ხასიათს ატარებს; 10. სასწავლო პროცესის წარმართვაში ჩართულ პირთა სიმცირე ზეგავლენას ახდებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის ხარისხზე;
---	---

სწორედ ამ ანალიზის საფუძველზე შემუშავდა 2018 წლის სამოქმედო გეგმა.

მთელი წლის პერიოდში, გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, ხორციელდებოდა თანამშრომელთა მიერ ანგარიშების წარმოდგენა გეგმის მიმდინარეობისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში გაწეული მუშაობის თაობაზე. წლის ბოლოს კი წარმოდგენილი იქნა საბოლოო ანგარიშები.

2018 წელს კოლეჯი ახორციელებდა როგორც მოდულურ, ასევე საგნობრივ პროგრამებს და 2018 წელს კოლეჯმა შეიმუშავა ყველა იმ საგნობრივი პროგრამის მონაცვლე მოდულური პროგრამა, რის საშუალებასაც კანონი იძლეობდა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოიპოვა შემდეგი მოდულური პროგრამების განხორციელების უფლება: კონდიტერია (დუალური მიდგომით), კულინარიის ხელოვნება (დაემატა განხორციელების მიდგომა და ხორციელდება ორი მიდგომით), ელექტროობა, მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები

(განხორციელების ორი მიდგომა), საავტომობილო გზების მშენებლობა, სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება.

ასევე, 2018 წელს, შრომის ბაზრისა და აპლიკანტთა მხრიდან მოთხოვნადობის გათვალისწინებით, გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ზღვრული რაოდენობა ორი პროგრამისათვის: კულინარიის ხელოვნება (კვოტა იყო 15 და გახდა - 60) და ინფორმაციის ტექნოლოგია (კვოტა იყო - 40 და გაიზარდა 20-ით).

2017 – 2018 სასწავლო წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა 283 პროფესიული სტუდენტი შემდეგ პროგრამებზე: მოდულური პროგრამები: კულინარიის ხელოვნება (დუალური პროგრამა), ინფორმაციის ტექნოლოგია, ვებ ინტერფეისის დეველოპერი, ბართენდერი, და სამკერვალო ნაწარმის სპერციალისტი. საგნობრივ პროგრამებზე: სასტუმროს საქმისმწარმოებელი, სარესტორნო საქმისმწარმოებელი, გიდი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი), ელექტრიკოსი, მეფილე - მომპირკეთებელი, მზარეული (მეორე საფეხური), მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი, კბილის ტექნიკოსი, ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი და ავტომობილის ძრავის შემკეთებელი.

2018 წლის საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯში სამ პროგრამაზე (ბაეთენდერი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი და ინფორმაციის ტექნოლოგია) ჩაირიცხა 42 პროფესიული სტუდენტი. ხოლო 2018 წლის შემოდგომის პროფესიულ ტესტირებაზე მიღება გამოცხადდა მხოლოდ მოდულურ პროგრამებზე და შესაბამისად შემცირდა ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ცხრა პროგრამაზე: კულინარიის ხელოვნება (განხორციელების ორი მიდგომა) , კონდიტერია, საავტომობილო გზების მშენებლობა, სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ბართენდერი, ინფორმაციის ტექნოლოგია, ვებ ინტერფეისის დეველოპერი და ელექტრობა ჩაირიცხა 185 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის, დუალურ პროგრამებზე - 52 პროფესიული სტუდენტი.

აპლიკანტთა მხრიდან ყველა ამ ზემოაღნიშნული მიღების დროს ყველაზე მოთხოვნადი იყო კულინარიის ხელოვნების პროგრამა. შრომის ბაზრიდან მოთხოვნადი, მაგრამ აპლიკანტთა მხრიდან ნაკლებმოთხოვნადი აღმოჩნდა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება. ზოგადად სამშენებლო მიმართულების პროგრამები აპლიკანტთა მხრიდან არ არის მაღალ მოთხოვნადი პროგრამები და დარგის პოპულარიზაციის მიზნით არის სამუშაოები გასატარებელი, რის თაობაზეც მოვახდინეთ კიდევ პარტნიორთა ინფორმირება. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სექტორი დაინტერესებულია მოკლე პერიოდში კადრების მიღებით და შესაძლოა მოკლევადინი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები მათთვის უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდეს.

2018 წელს ჯამში კოლეჯი დაასრულა 173 პროფესიულმა სტუდენტმა. მათ ნაწილზე უკვე გაცემულია პროფესიული დიპლომები.

2018 წელს გრძელვადიანი პროგრამების გარდა კოლეჯში, ასევე, განხორციელდა მოკლევადიანი პროგრამები. კერძოდ:

1. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები დაასრულა 65 პირმა შემდეგ პროგრამებზე: მზარეული, ბართენდერი, ელექტრიკოსი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ბუღალტერი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) (ჩირიცხა 79 მსმენელი, დაასრულა 65 ბენეფიციარმა).
2. „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სასჯელაღსრულების №3 დაწესებულებაში განხორციელდა ორი პროგრამა: ფერმერობა და ქართული ენის შესწავლა.
3. CISCO-ქსელური აკადემიის CCNA Routing and Switching პროგრამა გაიარა 11 პირმა. მათ შორის, ყველა სემესტრი დაასრულა 8 პირმა;
4. CISCO - ს ქსელური აკადემიის IT Essetiasl პროგრამის შუალედური და ფინალური გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სერტიფიკატები მოიპოვა ინფორმაციის ტექნოლოგიის (მოდულური პროგრამა) სპეციალობის №040171/1 ჯგუფის 13 კურსდამთავრებულმა;
5. „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში“ ქ. ბათუმსა და აჭარის ა/რ ხუთ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო) „კერვის ხელოვნებისა“ და „გიდის ხელოვნების“ პროფესიული უნარების პროგრამები გაიარა VII – VIII კლასების 132 მოსწავლემ და პროექტის ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტის სკოლებში აქტიურად მიმდინარეობდა კოლეჯისა და ზოგადად პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

ანგარიში მიმდინარე მოდულური/დუალური პროგრამების თაობაზე:

კოლეჯის ძირთად მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კოლეჯმა 2018 წელს დაიმატა 5 პროგრამა, მათ შორის, 4 დუალური პროგრამა და გაიზარდა კვოტა კულინარიის ხელოვნების დუალურ პროგრამაზე. შესაბამისად, გაფართოვდა სოციალურ პარტნიორთა წრე აღნიშნული მიმართულებით. ესენია: სასტუმროები: „შერატონ ბათუმი“, „რედისონ ბლუ ბათუმი“, „ვინდამ ბათუმი“ და რესტორანი „ყირამალა“.

ასევე, კულინარიის ხელოვნების პროგრამას დაემატა მიდგომაც და ამ ეტაპზე პროგრამა ხორციელდება სრულად კოლეჯშიც. 2018 წლის საშემოდგომო მიღების დროს

განხორციელების ორგვარმა მიდგომამ პროგრამაში ჩართვის საშუალება მისცა იმ პირებს, რომელთაც არ სურდათ დუალური პროგრამის ფარგლებში სწავლება.

კონდიტერიის პროგრამის ფარგლებში შედგა პარტნიორობა შემდეგ კომპანიებთან: „სასტუმრო „რედისონ ბლუ სასტუმრო „შერატონ ბათუმი“; სასტუმრო „Windham Batumi“; სასტუმრო „Hilton Batumi“, საკონდიტრო „საკონდიტრო „ალუბალი“ , საკონდიტრო „დერგაკ“ და ჰიპერმარკეტი „გუდვილი“.

სამშენებლო მიმართულებით დუალურ პროგრამებზე კოლეჯის პარტნიორებია: შპს „ანაგი“, შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“, შპს „გ²ბილდინგი“, შპს „გზა“, „შპს „გზები“, შპს „ზიმო-7“, შპს „ბონდი 2009“.

კოლეჯის მიღწევად შეიძლება ჩაითალოს ის ფაქტიც, რომ „საავტომობილო გზების მშენებლობის“ სახით ვნერგავთ პროგრამას, რომელიც რეგიონში საერთოდ არ განხორციელებულა, ხოლო უკვე ათწლეულებია არც ადგილზე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს მოუშადადებიათ ამ მიმართულებით კადრები, რაც გამოწვევაა კოლეჯისათვის.

დუალური პროგრამების დანერგვის მიმართულებით კოლეჯმა სერიოზულად გადადგა წინ ნაბიჯები. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე დაიხვეწა პროგრამების შემუშავებისა თუ განხორციელების მექანიზმები. პროცესი გაცილებით კარგად მიმდინარეობს ტურიზმის სექტორში. სამშენებლო სექტორში კი ამ ეტაპზე გამოცდილება მხოლოდ მიღების პროცესთან დაკავშირებით გაგვაჩნია და უკვე გამოიკვეთ გამოწვევები. მაგ: მშენებლობის წარმოების ჩარჩო დოკუმენტში პროგრამას არ აქვს შეზღუდვა ასაკთან დაკავშირებით, მაგრამ თავად კომპანიებმა დააწესეს შეზღუდვები, რის გამოც პარტნიორობის ხელშეკრულებათა გადახედავა გახდა საჭირო.

ინფორმაცია პროგრამების თაობაზე, რომლებიც გაუქმდა

კოლეჯში 2018 წელს მიღწევად რეჟიმში განხორციელდა შემდეგი პროგრამები; ბულალტერ-ტექნიკოსი (მოდულური პროგრამა), საგნობრივი პროგრამები: ოფისის მენეჯერი (მდივან - რეფერენტი), ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ავტომობილის ძრავის შემკეთებელი, მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი. კოლეჯის ხედვა არ მოიაზრებს აღნიშნული პროგრამების განხორციელებას სხვადასხვა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე (ნაკლებად დასაქმებადი, შესაბამისი გარემოს არ არსებობა და სხვ).

ინფორმაცია ინკლუზიურ პროფესიულ განათლებასა და ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებთან დაკავშირებით:

ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიული მომზადების პროცესის ორგანიზება (ინდივიდუალური აპლიკანტისთვის ალტერნატიული ტესტირების, პროფესიული მოსინჯვის დაგეგმვა, შეჩუქული ერთი, ორი ან სამი პროფესიისთვის ცალ-ცალკე).

საშემოდგომო მიღებაზე (2017-2018 სასწ. წლის) პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ მოდულურ პროგრამაზე ჩაირიცხა 1, 2018 წლის საგაზაფხულო მიღებაზე -2, ხოლო 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე დაიგეგმა 15 ალტერნატიული მოსინჯვა, აქედან 12 აპლიკანტი ჩაირიცხა სხვადასხვა მოდულურ პროგრამაზე.

სასწავლო პროცესზე სისტემატიური დასწრების, პროფესიულ განათლების მასწავლებლების მიერ შევსებული „მასწავლებლის ფორმების (სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტა)“, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის „დაკვირვების და შედეგების შეფასების დასკვნების“, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის „დაკვირვების და შედეგების შემაჯამებელი ფორმების“ ანალიზის საფუძველზე პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო შეხვედრებზე გადაწყდა, რომ მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები ესაჭიროებათ სტუდენტთა ნაწილს და შესაბამისად, ამ მიმართულებით განხორციელდა კონკრეტული აქტივობები და სტუდენტები სწავლობენ ისგ - ს მიხედვით. ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით.

განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა და მათი ოჯახების კონსულტირება პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პროფორიენტაციის მიზნით აქტივობების დაგეგმვა.

კოლეჯში დაინერგა პროფესიული ორიენტაციის პროგრამა სსსმ პირთათვის. სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ორიენტაციაში მიიღონ მონაწილეობა.

სსსმ პირთა პროფესიული ორიენტაცია ხორციელდება ეტაპობრივად. პროფესიული ორიენტაცია მიმდინარეობდა ორი ძირითადი მიმართულებით:

ზოგადი მიმართულება: პროფესიული სასწავლებლისა და მასში არსებული პროგრამების გაცნობა. ორიენტაციის ეს ეტაპი დაინტერესებულ პირს ეხმარებოდა პასუხი გაეცა შემდეგი მთავარი კითხვებისათვის: პროფესიების რა სპექტრი არსებობს სასწავლებელში? როგორია სტუდენტური ცხოვრება სასწავლებელში?

კონკრეტული მიმართულება: კონკრეტული პროფესიის/პროფესიების სასწავლო კურსის სიღრმისეული გაცნობა.

ორიენტაციის ეს ეტაპი დაინტერესებულ პირს ეხმარებოდა მიეღო პასუხი შემდეგ ძირითად კითხვებზე: როგორია ეს პროფესია? როგორია სწავლა ამ პროფესიულ პროგრამაზე?

დაინტერესებულ პირს შეეძლო პროფესიული ორიენტაციის ორივე მიმართულებაში მონაწილეობა.

მას შემდეგ, რაც პიროვნება დაინტერესდებოდა პროფესიული ორიენტაციის პროგრამით (და თუკი შესაძლებელია, მიუთითებდა მისთვის საინტერესო რამდენიმე პროფესიას და არჩეულთა შორის – პრიორიტეტულს), პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლები დაგეგმავდნენ ვიზიტს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე არჩეული სპეციალობების მიხედვით.

პროფესიულ ორიენტაციის შედეგად შეიქმნა მომავალ აპლიკანტთა ბაზა. დაიგეგმა მეცადინეობებზე დასწრება სასურველი პროფესიის შესარჩევად. სულ პროცესში მონაწილეობა მიიღო 17 სსსმ აპლიკანტმა, მიღებული პროფესიული ორიენტაციიდან გამომდინარე რეგისტრაციის დროს სსსმ აპლიკანტებმა მონიშნეს მხოლოდ ერთი სპეციალობა, რამაც შემდგომში გაამარტივა ალტერნატიული ტესტირების დაგეგმვა.

2018 წელს წელს დასრულდა კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ინგა ლომთათიძის მომზადება სსსმ პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერ სპეციალისტად - მობილობის ტრენერად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგი „მობილობა და სივრცეში ორიენტაცია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის“, ტრენინგი განხორციელდა გერმანული ფონდ „თბილისის უსინათლოთა სკოლის მეგობრების“ მხარდაჭერით, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი მათიას ვერსტომი. ფონდი თანამშრომლობს არაერთ გავლენიან გერმანულ ორგანიზაციასთან. მათ შორისაა მარბურგის უსინათლოთა საგანმანათლებლო ცენტრი „ბლისტა“, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა სერთიფიკატების გაცემას ამ ტრენინგისთვის. ტრენინგის ორგანიზატორებია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო და ორგანიზაცია "მარიანი".

2018 წლის 16 თებერვალს გაიმართა საბოლოო გამოცდა და გამოცდის წარმატებით დასრულების შემდეგ, ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები, მათ შორის კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს.

2019 წლის 7 მარტიდან 2019 წლის 17 მარტის ჩათვლით დაგეგმილია ვიზიტი გერმანიაში მარბურგის უსინათლოთა საგანმანათლებლო ცენტრში „ბლისტა“, კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მოწვევა განხორციელდა ტრენინგის ორგანიზატორი ორგანიზაციის "მარიანი" მიერ. აღნიშნული უკვე საშუალებას გვაძლევს კოლეჯში უპრობლემოდ მივიღოთ უსინათლო/ მცირედ მხედველი პირი.

სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი იყო სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დასაქმების ფორუმის ორგანიზება. ორგანიზების ხელშეწყობა ვერ მოხერხდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით შრომის ბაზარი არ არის მზად და ერთეული ორგანიზაციებს გააჩნიათ ამ კუთხით სოციალური პასუხისმგებლობა. ამ მიმართულებით საქმიანობა არის გასააქტიურებელი. სსსმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი დაბალია.

2018 წელს საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდა სსსმ პირთა უზრუნველყოფა ტრანსპორტირებითა და სასწავლო რესურსებით.

კარიერის დაგეგმვა და საპროფორიენტაციო მუშაობა

პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ ჩარიცხულ კოლეჯის სტუდენტებისთვის პერიოდულად მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების შესახებ. სამუშაოს მაძიებელი სტუდენტის/კურსდამთავრებულის და პოტენციური დამსაქმებლების შეხვედრის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა; სამუშაოს მაძიებელ სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ; (დაკავშირება მათთან დამსაქმებლის მოთხოვნიდან გამომდინარე); საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოს მაძიებელ სტუდენტებისთვის /კურსდამთავრებულებისთვის სააპლიკაციო დოკუმენტების (cv, სამოტივაციო წერილი) და გასაუბრებისთვის მომზადების ტექნიკის კონსულტაციებში დახმარება; დამსაქმებლებისთვის მათი თხოვნის საფუძველზე

სამუშაო მაძიებელი სტუდენტების/ კურსდამთავრებულების საკონტაქტო ინფორმაციის გადაგზავნა;

კოლეჯში ყოველწლიურად მიმდინარეობს კოლეჯის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა. 15.01.2018 დან - 25.05. 2018 - მდე მიმდინარეობდა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 16 სპეციალობის 194 კურსდამთავრებულმა :

ძირითადი მიგნებები

- ✓ კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 99.1% აცხადებს, რომ მიღებული ცოდნით აპირებდა დასაქმებას, 29% - სურდა კვალიფიკაციის მიღება, 20,1% სურდა კვალიფიკაციის ამაღლება, 13.9 - სჭირდებოდა სამსახურისთვის.
- ✓ გამოკითხულთა უმრავლესობამ მიუთითა, რომ 69,9% - კმაყოფილები არიან არჩეული საგანმანათლებლო პროგრამით, ხოლო 30,4% კი უთითებს რომ ნაწილობრივ კმაყოფილები.
- ✓ გამოკითხულთა 85.1% კმაყოფილია პროგრამაში შემადგენელი სასწავლო კურსით, არ შეცვლიდნენ, არ დაამატებდნენ რაიმეს, ხოლო 15 % კი ნაწილობრივ კმაყოფილი.
- ✓ მასწავლებლისგან მიღებულ ცოდნას (საგნის ცოდნა) კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 80% თვლის, რომ ძალიან კარგია, 23.9% კარგი, ხოლო 6,1% კი დამაკმაყოფილებლად თვლის.
- ✓ კურსდამთავრებულთა 59.8% საწარმოო პრაქტიკის განაწილებაში დახმარებას საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი უწევდა, ხოლო 40.2% - პრაქტიკის პედაგოგი.
- ✓ კურსდამთავრებულთა 71,1% - ძალიან კარგად აფასებს დახმარებას საწარმოო პრაქტიკის დროს გაწეულ დახმარებაზე, 28,9% -კი უთითებს კარგად, 93,8% - აღნიშნავს, რომ საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორი ყველა სტუდენტს უთმობდა თანაბარ ყურადღებას, 91,8% - აცხადებს, რომ საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორი ცდილობდა სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გაეხადა, 92.8% - აღნიშნავს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის და პროფესიული კოლეჯის მასწავლებელთა ურთიერთობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა სწავლების ორგანიზების მიზნით გამოყოფილი პირის კომპეტენტურობას კი 85.1% - მიუთითებს. ასევე, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შეფასებით ყველა სტუდენტი დაკავებულები იყვნენ საქმიანობით საწარმოში/ორგანიზაციაში, ასევე ყველა 100% - კმაყოფილია პრაქტიკისთვის გამოყოფილი დროთი და ყველა 100% - აწარმოებდა პრაქტიკის მსვლელობის დროს საწარმოო პრაქტიკის დღიურს,
- ✓ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 65.5% - აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ პროფესიასთან.
- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 43.3%-მა, ხოლო 20.6%-ს სწავლის

დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 63,9%-ს შეადგენს. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა საშუალო ხელფასი, რომლებმაც სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა ან სწავლის დასრულების მომენტამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო 468- ლარს შეადგენს. (რამდენიმე კურსდამთავრებულმა თავი შეიკავა თანხის მითითებაზე)

- ✓ ამჟამად დასაქმებულების პროფესიების მიხედვით განაწილებას თუ შევხედავთ, პირველ ოთხეულს შემდეგი პროფესიები ქმნიან:

მზარეული

ელექტრიკოსი

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

სასტუმრო საქმისმწარმოებელი

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 87.1% - თვლის, რომ პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას, 12.9 % - კი თვლის, რომ ნაწილობრივ.

- ✓ კურსდამთავრებულთა 33.5% - მა სამსახური დაიწყო იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას, 23.2% -მა სამსახური დაიწყო კოლეჯის დახმარებით, 26.3% -მა სამსახური დაიწყო დამოუკიდებლად, 17% -ს კი სამსახურის დაწყებაში დახმარება გაუწია ნაცნობ - მეგობრებმა, ნათესავებმა ან ოჯახის წევრებმა.

- ✓ კურსდამთავრებულთა 26,3% ამჟამად ეძებს სამსახურს, ხოლო კითხვაზე რატომ ვერ პოულობენ სწავლის დასრულების შემდეგ სამსახურს ასეთი პასუხები გასცეს: 13,9% -ის აზრით მათ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა, 8,8 % - ს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება, 3,6 - მა კი ძირითადი უნარების არცოდნა დააფიქსირა.

- ✓ კითხვაზე ამჟამად თუ რას საქმიანობენ კურსდამთავრებულები, კურსდამთავრებულებმა მათი ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ მიუთითეს, რომ კურსდამთავრებულთა 45,4% ამჟამად დასაქმებულია, 12,9% თვითდასაქმებულია, 7,2% არის სტაჟორი/ შეგირდი, 1,5% პროფესიულ სასწავლებელში სწავლობს, 2,6% უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ხოლო 30,4% დაუსაქმებელია.

- ✓ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებზე გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კურსდამთავრებულების პასუხები ასე გადანაწილდა.

	საჭიროებს გაუმჯობესებას	მეტ-ნაკლებად საჭიროებს	არ საჭიროებს
განათლების ხარისხი	18.6%	33.5%	47.9%
დასაქმებაზე	25.7%	35.6%	38.7%

ზრუნვა			
სწავლის მეთოდები	16%	26,3%	57,7%
სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა	13.9%	35.6%	50.5%

ანალიზი ჩატარებულია ცალკეული პროგრამების მიხედვითაც.

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ სისტემატურად მიმდინარეობს პოტენციური დამსაქმებლების მოძიება და მათთან კომუნიკაცია.

2018 წელს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერებმა შეიმუშავეს ელექტრონული კითხვარები ტურიზმის და სამშენებლო მიმართულებით.

ტურიზმის სექტორის დამსაქმებელთა განწყობილების კვლევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ტურიზმის სექტორის 17 კომპანიამ. 2018 წლის ტურიზმის დამსაქმებელთა განწყობილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა:

დამსაქმებლები ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ ღებულობენ სასწავლებლის წარმომადგენლისა და ვებ გვერდის მეშვეობით. კოლეჯთან გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, პროფესიულ სტუდენტებს, შშმ პირებს ღებულობენ საწარმოო პრაქტიკაზე და ასაქმებენ, ჩართულნი არიან დუალური სწავლების პროცესში, მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ღონისძიებაში.

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა უნარებს და კომპეტენციებს (თეორიული მომზადების, პრაქტიკული, კომუნიკაციის, გუნდში მუშაობის, სამუშაო რეჟიმთან ადაპტაციისა და უცხო ენის/ენების) შეფასებას დამსაქმებლები საშუალოზე მაღალით აფასებენ, რაც მისასაღმებელია. (გასულ წელს უფრო დაბალი შეფასება იყო). მაგრამ კვლავ რჩება პრობლემად უცხო ენების არასათანადო დონეზე ფლობა, რომელიც გამოსასწორებელია. თუმცა ამ მხრივ კოლეჯმა გადადგა ნაბიჯი. 2018 წელს ჩაერთო პროექტში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ და მთელი წლის მანძილზე კოლეჯში ინგლისური ენის მოხალისე პედაგოგიც იყო ჩართული სასწავლო პროცესში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებლი გაიზარდა და მომავალი ორი წლის განმავლობაშიც დამსაქმებლებმა გამოთქვეს უფრო მეტი რაოდენობით კურსდამთავრებულთა დასაქმების სურვილი.

გამოიკვეთა დამსაქმებელთა მზაობა შშმ პირის საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით, 17 კომპანიიდან 12 კომპანიას აქვს დაინტერესება, რომ საწარმოო პრაქტიკაზე მიიღოს შშმ პირი. აღნიშნულ ორგანიზაციებს გააჩნიათ ადაპტირებული გარემო ეტლით მოსარგებლისათვის.

აღსანიშნავია დამსაქმებელთა პასუხები ბლექსთან თანამშრომლობის შესახებ. მათი აზრით, შრომის ბაზარზე დეფიციტია კვალიფიციური კადრების და ამ მხრივ მისასაღმებელია კოლეჯთან ურთიერთობა. კოლეჯის დახმარებით ადვილად პოულობენ მათთვის საჭირო კადრებს, ემლევათ პოტენციური თანამშრომლების შერჩევის შესაძლებლობა, სასიამოვნოა ორხმრივი თანამშრომლობა და ა.შ.

დამსაქმებელთა უმრავლესობამ, 17 კომპანიიდან 10 კომპანიამ, გამოთქვა სურვილი დუალური სწავლების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით და ნაწილი უკვე ჩაერთო კიდევ.

რაც შეეხება ვაკანსიებს ანუ რა პროფესიის სპეციალისტები სჭირდებად აღნიშნულ კომპანიებს. დასაქმების სტატისტიკიდან სჩანს, როგორი დიდი მოთხოვნაა კოლეჯის მიერ მომზადებული კადრების მიმართ. აღნიშნულ კვეთაში არ გამოიკვეთა მოთხოვნა გიდის პროფესიაზე, რაც ობიექტების სპეციფიკით შეიძლება აიხსნას.

სამშენებლო მიმართულებით ბაზრის მოთხოვნების კვლევა შემუშავებული ანკეტის მეშვეობით.

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ სისტემატურად მიმდინარეობს პოტენციური დამსაქმებლების მოძიება და მათთან კომუნიკაცია. ეფექტური კომუნიკაციის მიზნით საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ შექმნილია მონაცემთა ბაზა, სისტემატურად ახლდება.

კოლეჯი აწოდებს ახალ პოტენციურ დამსაქმებელს ინფორმაციას კოლეჯის საქმიანობის, პროგრამების, კურსების შესახებ, სასწავლო-სამეწარმეო თანამშრომლობის შესახებ. ამის შედეგად გაღრმავებული თანამშრომლობის მეტი პერსპექტივა ჩნდება. მთავარი გამოწვევა ჩვენთვის პოტენციურ დამსაქმებელთთვის ინფორმაციის სწორად მიწოდებაა, რათა სამომავლო თანამშრომლობა უფრო მჭიდრო გავხადოთ.

მართალია კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა, მაგრამ 2018 წელს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერებმა შეადგინეს 2 ელექტრონული კითხვარი ერთი დამსაქმებლისთვის და ერთი სპეციუალურად პოტენციური დამსაქმებლისთვის სამშენებლო მიმართულებით.

სამშენებლო სექტორის დამსაქმებელთა განწყობილების კვლევა

2018 წლის სამშენებლო დამსაქმებელთა განწყობილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა

შემდეგი:

პრობლემად გამოკვეთა დამსაქმებელთა მზაობა შშმ პირის საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით. გამოცდილება შშმ პირთა საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით აქვს 11 კომპანიიდან 2 კომპანიას, ასევე 11 კომპანიიდან მხოლოდ 3 კომპანიას აქვს დაინტერესება, რომ საწარმოო პრაქტიკაზე მიიღოს შშმ პირი.

აღსანიშნავია დამსაქმებელთა პასუხები ბლექსთან თანამშრომლობის შესახებ, მათი აზრით, შრომის ბაზარზე დეფიციტია კვალიფიციური კადრების და ამ მხრივ მისასაღმებელია კოლეჯთან ურთიერთობა. კოლეჯის დახმარებით ადვილად პოულობენ მათთვის საჭირო კადრებს, ეძლევათ საშუალება კომპანიის პროფილის შესაბამისი კადრების მოძიების, ბლექსის კურსდამთავრებულები მათი მთავარი სპეციალისტებია.

მოქმედი პარტნიორებიდან კომპანიებმა: „ენერგო - პრო - ჯორჯია“, „მეტეხი 2010“, „ზიმო-7“ გამოხატა მზაობა დუალური სწავლების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. ყველა დამსაქმებელი მზად არის ითანამშრომლოს კოლეჯთან სამშენებლო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

სამშენებლო სექტორის პოტენციურ დამსაქმებელთა განწყობილების კვლევა

2018 წლის სამშენებლო სექტორის პოტენციურ დამსაქმებელთა განწყობილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

სამუშაოს მაძიებელთა/სტაჟიორთა ორგანიზაციაში მიღების სურვილი გამოთქვა პოტენციურმა დამსაქმებელთა უმეტესმა ნაწილმა;

მართალია შშმ სტაჟიორთა/დამსაქმებელთა ორგანიზაციაში მიღების სურვილი და შესაძლებლობა გამოთქვა ორგანიზაციებმა, მაგრამ საწუხაროდ მცირე რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ყველა დამსაქმებელმა: შპს „ბზა“, შპს „გზა“, შპს „გზები“, შპს „ოცნება“, შპს „ბონდი - 2009, შპს „ორბი ჯგუფი ბათუმში, შპს „ანაგი“, შპს „ზიმო - 7“, შპს „გ - 2 ბილდინგი“ გამოთქვა სურვილი დუალური სწავლების პროცესში ჩართვაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში, ასევე კოლეჯისთვის.

დამსაქმებელთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი ვაკანისების არსებობის შემთხვევაში კადრების მოძიების მიზნით მიმართოს კოლეჯს.

კოლეჯში ყოველწლიურად წელიწადში ორჯერ ტარდება კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების სტატისტიკა. (სამუშაოს მაძიებელი სტუდენტების/კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაცია 6 თვის და 1 წლის მონაცემების მიხედვით).

2018 წელს განხორციელდა 2017 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის შესწავლა. 2017 წელს კოლეჯი დაასრულა 299 სტუდენტმა, მათგან დასაქმდა 6 თვის მონაცემებით 187 კურსდამთავრებული (62,8%) , ხოლო 1 წლის მონაცემებით კი 179 კურსდამთავრებული (60.1%). ყველაზე მაღალია დასაქმების

მაჩვენებელი ტურიზმის, აგრარული (კულინარია), სამშენებლო, ინჟინერიის/IT მიმართულებებით. კერძოდ: მზარეული II- III საფეხური 6 თვის მონაცემებით (88.4% - 83,3%), 1 წლის მონაცემებით II- III საფეხური (84% -83%) ბარტენდერი 6 თვისა და 1 წლის მონაცემებით (75%), ელექტრიკოსი 6 თვის მონაცემებით (69%), 1 წლის მონაცემებით 79.3%), სარესტორნო საქმისმწარმოებელი 6 თვის მონაცემებით (81.8%), 1 წლის მონაცემებით (72.7%), სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი 6 თვისა და 1 წლის მონაცემებით (73.1%), სასტუმრო საქმიმწარმოებელი 6 თვის მონაცემებით (67%), და 1 წლის მონაცემებით (53.3%), მეფილე - მომპირკეთებელი 6 თვის მონაცემებით (76.9%), 1 წლის მონაცემებით (85%) და IT სპეციალობები 6 თვისა და 1 წლის მონაცემებით (63.6%).

აქტიური საპროფორიენტაციო მუშაობის ჩატარება ზემო აჭარაში

2017 წლის აგვისტოდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის განხორციელება, რომელსაც 2018 წელს პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა ეწოდა.

პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ საქართველოს სხვა კოლეჯებთან ერთად აქტიურად ჩაება ამ პროექტში. თუკი 2017 წლის აგვისტოში მხოლოდ ქალაქის ორ სკოლაში მიმდინარეობდა პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა, 2018 წელს ბათუმსა და აჭარის 4 მუნიციპალიტეტის 16 სკოლაში განხორციელდა. პროექტმა სკოლის მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა პროფესიულ განათლებაში საკუთარი ძალების მოსინჯვის, ასევე საჯარო სკოლებს მისცა შესაძლებლობა მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინათ პროფესიის მოსინჯვის შესაძლებლობა. ეს კი საუკეთესო საშუალებაა აქტიური საპროფორიენტაციო მუშაობის ჩასატარებლად.

2018 წელს სსიპ პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსი“ მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაცია „საორსას“ ინიციატივით პროექტის „პროფესიული ორიენტაცია აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისათვის“ ფარგლებში ორგანიზებულ განათლების ფორუმში. აღნიშნული ფორუმი გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონფერენციო დარბაზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებმა მოსწავლეებმა.

შრომის ბაზრის შესწავლა ზემო აჭარაში

2018 წლის ბოლოს ზემო აჭარაში ჩატარდა თვისებრივი კვლევა მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენის მიზნით. კვლევა განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ENPARD – 2 ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე და კვლევა განხორციელდა უშუალოდ კოლეჯის სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტის ექსპერტის

ხელმძღვანელობით. მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენასთან ერთად აქტივობები განხორციელდა მუნიციპალტეტებში ფილიალის გახსნის მიზნით.

მოცემული ეტაპისათვის ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებისაგან არის შემოთავაზება, რომ მათ მიერ კოლეჯს გადმოეცემა რეაბილიტირებული შენობები ფილიალების გახსნის მიზნით, იმ პროგრამების შესაბამისად, რომელიც კვლევის მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა.

ინფორმაცია 2018 წლის სხვა ძირითადი განხორციელებული და განუხორციელებელი აქტივობების შესახებ;

1. პროგრამების დამატებისა თუ კვოტის გაზრდის მიზნით 2018 წელს ყველა პროგრამის ბაზა განახლდა;
2. სამშენებლო და ტურიზმის მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწვეული SES ექსპერტების მიერ. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მიმართულებით ტრენინგები მაღალ დონეზე წარიმართა, რასაც ვერ ვიტყვით ტურიზმის მიმართულებით ჩატარებულ ტრენინგებზე;
3. 2018 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) მხარადაჭერით მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა კულინარიის ხელოვნების დუალური პროგრამის მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მხარადაჭერა;
4. კოლეჯის მასწავლებელთა 70% - მა გაიარა სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, სრული პედაგოგიური კურსი - 5 მოდული.
5. კოლეჯის შიდა რესურსებით ჩატარდა მოდულური სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე ტრენინგები ახალი მოდულური პროგრამების მასწავლებლებისათვის.
6. ახალი თანამშრომლის დაწესებულების მუშაობაში ჩართულობის და არსებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმების დანერგვის მიზნით განხორციელდა კონკრეტული აქტივობები თუმცა რეგულაცია არ არის ამ ეტაპზე შემუშავებული. აღნიშნულ საკითხზე ვმუშაობთ UNDP - ის ექსპერტთან ერთად;
7. 2018 წელს კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობა: „სამშენებლო ფორუმი“, „EXPO BATUMI - 2018“ (სადაც ყველაზე საგანმანათლებლო სტენდის სტატუსი მოვიპოვეთ), „კავკასიის ტურიზმის გამოფენა“, 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „თევზის ფესტივალი - 2018“, „ბარმენტა საერთაშორისო დღე“ და სხვ.
8. დაწყებულია წარმატებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მაგალითების (case) გაცნობა დაინტერესებული მხარეებისათვის, თუმცა საჭიროებს უფრო მეტ მუშაობას.
ზოგადად პიარი არ არის კოლეჯის ძლიერი მხარე და მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსის დამატება, რაზედაც სამინისტროსთან დაწყებულია კომუნიკაცია.
9. 2018 წელს ჩატარდა ყოველწლიური პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო - შემოქმედებითი კონფერენცია და სპორტული შეჯიბრებები. წარმატებული სტუდენტები წახალისდნენ;
10. სასწავლო პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით აქცენტირება გაკეთა უსაფრთხო სამუშაო გარემოზე, როგორც კოლეჯში ასევე, კომპანიებში

დულური პროგრამების სტუდენტებისათვის. სტუდენტების უმეტესი ნაწილი დაზვეულია კომპანიათა მიერ, მაგრამ იმ ობიექტებზე სადაც სტუდენტთა დაზვევა ვერ იქნება უზრუნველყოფილი საწარმოო ტრამვისაგან დაზვევას უზრუნველყოფს კოლეჯი;

11. შემუშავდა პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა;
12. ვერ შესრულდა დაგეგმილი აქტივობა - უცხო ენის სწავლების გაძლიერების მიზნით ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება „აჭარის განათლების ფონდთან“.

როგორც ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდთან აღნიშნული საკითხის წინასწარი განხილვით გახდა ცნობილი ფონდს შეუძლია კოლეჯს უცხო ენების სწავლება შესთავაზოს მხოლოდ საერთო საწყისებზე, რაც ვერ იქნება დაწესებულებებს შორის ურთიერთანამშრომლობის საფუძველი.

2018 წელს კოლეჯი ჩაერთო პროექტში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, 2018 წელს კოლეჯში უცხოური ენის მოხალისე პედაგოგი ასწავლიდა. უცხო ენის ცოდნის თემა დღემდე პრობლემად იკვეთება დამსაქმებლებთან კომუნიკაციის პროცესში.

13. 2018 წელს ელექტრონული ბიბლიოთეკის დანერგვის მიზნით შეყიდული იქნა OPENBIBLIO და გადამზადდა ბიბლიოთეკარი. პროგრამა სრულად არ არის დანერგილი. მიმდინარეობს პროგრამაში მონაცემთა შეყვანა.

14. სასწავლო პროცესის მართვის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით ეფექტური ღონისძიებები არ განხორციელებულა. მხედველობაში გვაქვს სასწავლო ცხრილების შედგენის პროგრამული ვერსიის შემუშავება და მოდულური პროგრამების სტუდენტებისა და მასწავლებლების წვდობა ელექტრონულ პორტალთან, სადაც გამოჩნდება პროფესიული სტუდენტის შეფასება.

აღნიშნული საკითხი დაყენებული იქნა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით EMIS მუშაობს ჟურნალის ახალ ფორმაზე და რეკომენდაციებს მიაწოდებენ სამუშაო ჯგუფს.